სსიპ - წყალტუბოს კოლეჯის დირექტორის ბრძანება

N57

წყალტუბო
თერნალი

3 [illegible] 2023წ.

სსიპ - წყალტუბოს კოლეჯის პროგრამაზე შერჩევისა და ჩარიცხვის წესის დამტკიცების შესახებ

კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტების შერჩევისა და მათი ჩარიცხვის ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურების განსასაზღვრად, მიზანშეწონილია შემუშავდეს და დამტკიცდეს სსიპ - წყალტუბოს კოლეჯის პროგრამაზე შერჩევისა და ჩარიცხვის წესი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 21 ოქტომბრის N117/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - წყალტუბოს კოლეჯის წესდების“ მე-5 მუხლის „ი“ პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტების შერჩევისა და მათი ჩარიცხვის ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურების განხორციელების მიზნით, თანდართული რედაქციის შესაბამისად დამტკიცდეს სსიპ - წყალტუბოს კოლეჯის პროგრამაზე შერჩევისა და ჩარიცხვის წესი (დანართი თან ახლავს).
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11).

ნონა ჯაჯანიძე

კოლეჯის დირექტორი

სსიპ წყალტუბოს კოლეჯი * 221289031 * LEPL TSKALTUBO COLLEGE

დამტკიცებულია
სსიპ „წყალტუბოს კოლეჯის" დირექტორის
2023 წლის --3-- --------------ის N---57--- ბრძანებით

სსიპ წყალტუბოს კოლეჯი
221289031
LEPL TSKALTUBO COLLEGE

პროგრამაზე შერჩევისა და ჩარიცხვის წესი

წყალტუბო, 2023 წელი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. სსიპ წყალტუბოს კოლეჯის ,,პროგრამაზე შერჩევისა და ჩარიცხვის წესი" (შემდგომში - ,,წესი") განსაზღვრავს როფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (შემდგომში - „პროგრამა") აპლიკანტების შერჩევისა და მათი ჩარიცხვის ობიექტურ, გამჭვირვალე და სამართლიან პროცედურებს;
2. კოლეჯის პროგრამაზე დაშვების წინაპირობა დადენილია შესაბამისი პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტით (ჩარჩო დოკუმენტი) განსაზღვრული პროფესიული განათლების დონის გათვალისწინებით;
3. ეს წესი შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ", „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონების, ,,პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის N198/ნ ბრძანების, "პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანების საფუძველზე და გათვალისწინებით.

მუხლი 2. პროფორიენტაცია და კონსულტირება

1. კოლეჯი დაინტერესებულ პირებს მუდმივად აწვდის ინფორმაციას პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობების შესახებ შემდეგი აქტივობების ფარგლებში:
   ა) პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი აწყობს შეხვედრებს დაინტერესებულ პირებთან, მათ შორის ღია კარის დღეებს;
   ბ) უზრუნველყოფს პროგრამების მიმდინარე კატალოგის საჯაროობას;
   გ) კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი დაინტერესებულ პირს აწვდის ინფორმაციას კოლეჯის პროგრამების, მათი შინაარსის, მიზნების, სწავლის შედეგების, განხორციელების ფორმის, დაშვების წინაპირობების და ჩარიცხვის პროცედურების, ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტაციის, სწავლის ხანგრძლივობის და ინტენსივობის, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, დაფინანსების შესაძლებლობების, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციების, დასაქმების შესაძლებლობების და სწავლის გაგრძელების შესახებ. ასევე, მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურის დათვალიერებას, ინფორმაციის მიწოდებას დამატებითი აქტივობების შესახებ;
   დ) პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი აწვდის ინფორმაციას რეგისტრაციის პროცედურების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში, ეხმარება რეგისტრაციაში.
2. კონსულტირება შესაძლებელია წარიმართოს პირისპირ ან დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენებით.

მუხლი 3. მიღების დაგეგმვა და გამოცხადება

1. პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

   ა) ანკეტა-კითხვარის შევსების დაწყების წინა დღის მონაცემებით პროგრამაზე მიმდინარე სტუდენტების რაოდენობა აკლდება ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას და მიღებულ სხვაობას ემატება პროგრამაზე სწავლის დაწყების მომენტისთვის დამამთავრებელი სტუდენტების რაოდენობა, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების შესაბამისად;
   ბ) პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრისას არ გაითვალისწინება კონკრეტული პროგრამის სტატუსშეჩერებული სტუდენტები;
   გ) პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრისას, მისაღები ადგილების რაოდენობას გამოაკლდება მობილობისას, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით დადგენილი ზღვრული

რაოდენობის ზევით, კანონმდებლობის ფარგლებში დაშვებული არაუმეტეს 25 %-იანი გადაჭარბება, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ) პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრისას, მისაღები ადგილების რაოდენობას გამოაკლდება სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით დადგენილ ზღვრული რაოდენობის გადაჭარბებით, ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით განსაზღვრული რეიტინგული სიების კოლეჯისთვის ხელმისაწვდომობიდან ორი სამუშაო დღის ვადაში კოლეჯი უფლებამოსილია მისაღები ადგილები გაზარდოს შესაბამის პროგრამაზე არსებული თავისუფალი ადგილების რაოდენობის ფარგლებში;
3. კოლეჯში მიღება ცხადდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (შემდგომში - ,,ბრძანება"), რომლის საფუძველსაც წარმოადგენს კოლეჯის დირექტორის მოადგილის სამსახურეობრივი ბარათი, და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ივსება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ანკეტა-კითხვარი;
4. კოლეჯი უზრუნველყოფს პროგრამაზე მიღების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას.

მუხლი 4. აპლიკანტთა რეგისტრაცია და შერჩევა

1. პროგრამაზე აპლიკანტად დასარეგისტრირებლად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილ ვადაში, პირი გადის ავტორიზაციას სარეგისტრაციო სისტემაში www.vet.emis.ge, რაც დასტურდება აპლიკანტის ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინებით;
2. აპლიკანტისთვის შევსებული მონაცემები ხელმისაწვდომია ინდივიდუალური ანგარიშის მეშვეობით და პასუხისმგებელია სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე, მცდარი მონაცემები შესაძლოა გახდეს ჩარიცხვაზე უარის თქმის ან სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ კოლეჯის მიერ გამოცემული ბრძანების ნაწილობრივ ბათილად/ბათილად ცნობის საფუძველი;
3. აპლიკანტს შეუძლია არაუმეტეს 3 პროგრამის არჩევა, რომლის ცვლილება შეუძლია მხოლოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილ რეგისტრაციის ვადაში;
4. მე-3 და მე-4 დონის პროგრამების შემთხვევაში, აპლიკანტების შერჩევას ახორციელებს კოლეჯი დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ შერჩევის თარიღებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილ შერჩევის პერიოდში, რომელსაც ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში და უზრუნველყოფს ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსებას და აპლიკანტების ინფორმირებას შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე;
5. აპლიკანტების ინფორმირების ფორმებია: აპლიკანტთა მიერ სისტემაში რეგისტრაციის დროს მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების/ტელეფონის ნომერზე დაკავშირება/მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნა/სოციალური ქსელების გვერდებზე ინფორმაციის განთავსება;
6. აპლიკანტების შერჩევა ხორციელდება მოტივაციური გასაუბრების გზით;
7. მოტივაციური გასაუბრება ხორციელდება ქართულ ენაზე, კოლეჯი იმ აპლიკანტებს, რომელთაც რეგისტრაციის დროს შერჩევის ენად მიუთითეს აზერბაიჯანული/სომხური/რუსული და გადალახეს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირება, კოლეჯი მოტივაციურ გასაუბრებაზე უზრუნველყოფს თარჯიმნით;
8. მოტივაციურ გასაუბრებას ატარებს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი შერჩევის კომისია, არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით:

   ა) კოლეჯის დირექტორი;

   ბ) დირექტორის მოადგილე;

   გ) პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი;

   დ) შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი/დარგობრივი კომპეტენციის მასწავლებელი;

   ე) პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი.

9. შერჩევის კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც თავად არის აპლიკანტი, ხოლო თუ შერჩევის კომისიის წევრი არის აპლიკანტის ოჯახის წევრი/ახლო ნათესავი (აპლიკანტის დედა, მამა, მეუღლე, შვილი (გერი), მშობლის და შვილის გერები, და და ძმა, სიძე, რძალი), ვალდებულია გამოიყენოს აცილების უფლება აღნიშნული აპლიკანტის შეფასებისას;
10. შერჩევის კომისიის წევრს უფლება არა აქვს თავი შეიკავოს აპლიკანტის შეფასებისაგან;
11. შერჩევის კომისიის მიერ საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების და შერჩევის პროცედურის ადმინისტრირების მიზნით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც მოტივაციური გასაუბრების მონაცემებს (ვიდეო-აუდიო ჩანაწერები) ინახავს სტუდენტის სტატუსის მინიჭების ბრძანების გამოცემამდე;
12. მოტივაციური გასაუბრებისას შერჩევის კომისიის თითოეული წევრი ინდივიდუალურად აფასებს აპლიკანტს, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:
    ა) ინფორმაცია პროფესიის შესახებ;
    ბ) პროფესიული ცნობისმოყვარეობა;
    გ) მსგავსი სამუშაოების შესრულების გამოცდილება;
    დ) პროფესიის მნიშვნელობის გააზრება;
    ე) პროგრამაზე სწავლის მზაობა;
    ვ) კარიერული განვითარების გეგმები.
13. შერჩევისას გამოიყენება დიფერენცირებული შეფასების სისტემა, თითოეული კრიტერიუმი ფასდება 0-დან 4 ქულის ჩათვლით, სადაც 0 არის ყველაზე დაბალი შეფასება, ხოლო 4 - უმაღლესი (შეფასების ფორმა დანართი N1);
14. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება მაქსიმალური ქულის 30%;
15. შერჩევის კომისიის წევრების შეფასებები, მოტივაციური გასაუბრების დღესვე, აისახება პორტალზე, რომელიც აჯამებს შედეგებს და აპლიკანტის ჯამური ქულა ავტომატურად აისახება მონაცემთა ბაზაში;
16. მოტივაციური გასაუბრება აპლიკანტებთან ტარდება ინდივიდუალურად, თითოეულისთვის არანკლებ 10 და არაუმეტეს 20 წუთის ხანგრძლივობით, კოლეჯში, სპეციალურად მოწყობილ ოთახში, რომელიც იძლევა მოტივაციური გასაუბრების ვიდეო-აუდიო ჩანაწერის წარმოების საშუალებას;
17. აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს დანიშნულ მოტივაციურ გასაუბრებაზე და წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
18. კოლეჯი უზრუნველყოფს მოტივაციური გასაუბრების შეფასების კრიტერიუმების საჯაროობას და აპლიკანტებისთვის გაცნობის შესაძლობლობას მოთხოვნისამებრ;
19. გამონაკლისი გარემოების დადგომისას, აპლიკანტის მიერ, დანიშნულ მოტივაციურ გასაუბრებაში, მონაწილეობის მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს აპლიკანტისთვის მოტივაციური გასაუბრების ალტერნატიულ თარიღში ჩატარებას;
20. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, შერჩევის ეტაპის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, უზრუნველყოფს კოლეჯისთვის რეიტინგული სიების მოწოდებას და აპლიკანტისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სარეგისტრაციო სისტემაში, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით;
21. კოლეჯის დირექტორი ბრძანებით განსაზღვრავს ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალს (მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის (შემდგომში - „სსსმ“)), მათი წარდგენის ფორმას და ვადებს, ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველს, ხელშეკრულების გაფორმების პირობებს და ვადებს, საჭიროებისამებრ სხვა საკითხებს.

მუხლი 5. ჩარიცხვა

1. კოლეჯი აპლიკანტებს რიცხავს პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე;

2. საბაზო პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის:
   ა) 70%-ის ფარგლებში, ჩარიცხვა ხორციელდება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა ზოგადი განათლების საბაზო საფეხური;
   ბ) 30%-ის ფარგლებში, ჩარიცხვა ხორციელდება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონე აღემატება ზოგადი განათლების საბაზო საფეხურს.
3. საშუალო პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის:
   ა) 70%-ის ფარგლებში, აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა სრული ზოგადი განათლება;
   ბ) პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის 30%-ის ფარგლებში, რეიტინგული სია დგება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება.
4. აპლიკანტი, რომელსაც რეგისტრაციისას არჩეული აქვს რამდენიმე პროგრამა, უფლებამოსილია ჩაირიცხოს მხოლოდ ერთ პროგრამაზე;
5. რეიტინგულ სიაში, აპლიკანტის ადგილს იკავებს რეიტინგული სიის მიხედვით შემდეგი აპლიკანტი:
   ა) კოლეჯის მიერ აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში, როდესაც აპლიკანტმა კოლეჯის მიერ დადგენილი წესითა და ვადაში, განცხადებით არ გამოხატა წერილობითი ნება კოლეჯში ჩარიცხვის შესახებ;
   ბ) აპლიკანტის მიერ ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში;
   გ) აპლიკანტის სხვა პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში.
6. პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის ფარგლებში მიღწეული განათლების დონის მიხედვით გამოყოფილი ადგილების შეუვსებლობის შემთხვევაში, ეს ადგილები გამოიყენება მეორე რეიტინგულ სიაში მყოფ აპლიკანტთა ჩარიცხვისთვის.
7. თუ ორი ან ორზე მეტი აპლიკანტი რეიტინგულ სიაში მოხვდა თანაბარი რეიტინგული ქულით და მათი პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს ამ პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობას, კოლეჯის შესაბამის პროგრამაზე დაემატება მისაღებ სტუდენტთა ადგილების ის რაოდენობა, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარქულიანი აპლიკანტების ჩასარიცხად. თუ ამ შემთხვევაში ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს კოლეჯის შესაბამისი პროგრამისთვის გამოყოფილი ადგილებისთვის შესაბამის წელს განსაზღვრული მისაღები სტუდენტების რაოდენობის ფარგლებს, დამატებული სტუდენტების რაოდენობა მოაკლდება მოცემულ პროგრამაზე შემდეგ წელს მისაღებ ადგილებს, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში -სწავლების შესაბამის ფორმაზე/სასწავლო გეგმაზე არსებულ თავისუფალ ადგილებს;
8. იმ შემთხვევაში, როდესაც შერჩევა განხორციელდა უცხოურ ენაზე (ტესტირება ჩააბარა/მოტივაციური გასაუბრება გაიარა უცხო ენაზე) კოლეჯი ჩარიცხული სტუდენტებისთვის პროგრამაზე სწავლებას იწყებს ქართული ენის მოდულით. ქართული ენის მოდულის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი, - დადასტურების შემთხვევაში, სტუდენტი სარგებლობს გარდამავალი (მომლოდინე) სტუდენტის სტატუსით და უფლებამოსილია:
   ა) სწავლა დაიწყოს იმ პროგრამაზე, რომელზეც განხორციელდა მისი ჩარიცხვა, რისთვისაც პირადი განცხადების საფუძველზე უაქტიურდებდა სტუდენტის სტატუსი მომდევნო მიღების ფარგლებში ამ პროგრამაზე სწავლის დაწყებისთანავე;
   ბ) ისარგებლოს შიდა მობილობით;
   გ) ისარგებლოს გარე მობილობით;
   დ) შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა.
9. კოლეჯის მიერ დადგენილი განაცხადის შევსებულ ფორმას (რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს) სტუდენტის

სტატუსის მოპოვების მოთხოვნის თაობაზე, თან უნდა ერთვოდეს პროგრამაზე მიღების გამოცხადების შესახებ დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტები;

10. კოლეჯი უფლებამოსილია აპლიკანტს არ მოსთხოვოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ აღნიშნული განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა, აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში, დადასტურებულია მართვის სისტემის მიერ;
11. პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვისა და მასზე დაშვების წინაპირობებთან პირის შესაბამისობის განსაზღვრის საფუძველზე;
12. აპლიკანტის მიერ კოლეჯში სწავლის უფლების მოპოვების მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება აპლიკანტს. კოლეჯი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი დოკუმენტების ნამდვილობა;
13. აპლიკანტი პროგრამაზე ირიცხება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილ ვადებში და მონაცემები აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე;
14. სწავლის დაწყებმადე კოლეჯი აპლიკანტთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომელსაც ხელს აწერს კოლეჯის დირექტორი და აპლიკანტი/აპლიკანტის კანონიერი წარმომადგენელი, ორ ეგზემპლარად, რომლის ერთი პირი გადაეცემა სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მეორე - ინახება სტუდენტის პირად საქმეში.

მუხლი 6. სსსმ აპლიკანტთა ჩარიცხვა

1. სსსმ აპლიკანტები კოლეჯში ირიცხებიან პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ზემოთ გამოცხადებული ადგილების 15%-ის ფარგლებში;
2. სსსმ პირი, რომელსაც მულტიდისციპილინური გუნდის მიერ დადასტურებული აქვს სტატუსი და დადგენილი წესით გავლილი აქვს პროფესიული ორიენტაცია, ჩარიცხვის მიზნით სარეგისტრაციო პორტალზე, დადგენილ ვადებში, აკეთებს სისტემის მიერ დადებითი რეკომენდაციის მქონე პროგრამებიდან შესაბამის არჩევანს;
3. კოლეჯი განიხილავს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს, თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას პირის პროგრამზე ჩარიცხვის შესახებ; ამასთან იმ შემთხვევაში თუ სსსმ აპლიკანეტების რაოდენობა აღემატება დადგენილი ადგილების რაოდენობას, ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭება იმ სსსმ აპლიკანტს, რომელიც პირველად მოიპოვებს სტუდენტის სტატუსს;
4. სსსმ აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, კოლეჯის დირექტორის მიერ გამოიცემა ბრძანება და მონაცემები აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, დადგენილ ვადებში;
5. საჭიროებისამებრ, კოლეჯი უზრუნველყოფს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მონაწილეობას სსსმ აპლიკანტების შერჩევის პროცედურებში.

მუხლი 7. მოტივაციური გასაუბრების შედეგების გასაჩივრება

1. აპლიკანტი უფლებამოსილია გაასაჩივროს მოტივაციური გასაუბრების შედეგი ან/და პროცედურული საკითხები, გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, რისთვისაც არგუმენტირირებული განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს;
2. კოლეჯის დირექტორი, საჩივრის განხილვის მიზნით, ანაკლებ სამი წევრის მონაწილეობით ქმნის სააპელაციო კომისიას, რომლის შემდგანელობაში გაითვალისწინება კოლეჯის ადმინისტრაციის, დარგის სპეციალისტის და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლობა, ამასთან სააპელაციო კომისიაში არ შედიან შერჩევის კომისიის წევრ/ებ/ი;

3. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით ასევე განისაზღვრება სააპელაციო კომისიის საქმიანობის ვადები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი შერჩევის ვადების ფარგლებში;
4. სააპელაციო კომისია საჩივარის განხილვის და გარემოებების შესწავლის საფუძელზე, იღებს აპლიკანტის საჩივრის დაკმაყოფილების ან შერჩევის კომისიის შეფასების ძალაში დატოვების გადაწყვეტილებას;
5. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას წარუდგენს კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის;
6. აპლიკანტს სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება ეცნობება 1 სამუშაო დღის ვადაში მის მიერ რეგისტრაციისას მითითებულ ელექტრონული ფოსტის/საკონტაქტო ტელეფონის საშუალებით.

მუხლი 8. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება

1. პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, პროგრამაზე მისაღები ადგილებიდან დარჩენილი თავისუფალი ადგილების და სსსმ აპლიკანტთათვის განკუთვნილი ადგილებიდან დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, კოლეჯი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადებში, ინფორმაციას შესავსები ადგილების შესახებ ასახავს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
2. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფს, იმ აპლიკანტებისათვის დარჩენილი თავისუფალი ადგილების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომელთაც ვერ მოიპოვეს პროფესიული სტუდენტის სტატუსი;
3. აპლიკანტი, რომელიც ვერ ჩაირიცხა მის მიერ არჩეულ პროგრამაზე, უფლებამოსილია მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადაში აირჩიოს არაუმეტეს 3 პროგრამა, ხოლო სსსმ აპლიკანტები ირჩევენ პროგრამას დადებითი რეკომენდაციის მქონე პროგრამის ფარგლებში;
4. სტუდენტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით გამოცხადებული მიღების ფარგლებში, რეგისტრაციის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, რომელიც აკმაყოფილებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას; აღნიშნული პუნქტი არ ვრცელდება სსსმ აპლიკანტებზე;
5. პროგრამებზე თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, აპლიკანტთა შერჩევა, რეიტინგული სიების შედგენა, შედეგების ასახვა და ჩარიცხვა ხორციელდება ამ წესის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანების შესაბამისად;
6. თუ აპლიკანტს რეგისტრაციისას რამდენიმე პროგრამა აქვს არჩეული, მინისტრის ბრძანებით დადგენილ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ირჩევს მის მიერ რეგისტრაციისას მითითებული იმ პროგრამებიდან ერთ-ერთს, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება და კოლეჯში წარადგენს აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის განსაზღვრულ დოკუმენტებს;
7. თავისუფალი ადგილების შევსების ფარგლებში, სტუდენტთა ჩარიცხვაზე არ ვრცელდება ამ წესის მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები;
8. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების პროცესი სრულდება კოლეჯის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრულ სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე.

დანართი 1

აპლიკანტი: _____

სახელი და გვარი

მოტივაციური გასაუბრება: შეფასების ფორმა

ინფორმაცია პროფესიის შესახებ						
აპლიკანტი ფლობს ინფორმაციას პროფესიის ისეთი ასპექტების შესახებ, როგორიცაა: სამუშაოს მოცულობა, სამუშაოს ტიპი, სამუშაო გარემო, ფუნქცია-მოვალეობები, დასაქმების შესაძლებლობები, სამუშაოს დადებითი მხარეები და სირთულეები, ანაზღაურება.	4	3	2	1	0	აპლიკანტი არ ფლობს ინფორმაციას პროფესიის შემდეგი ასპექტების შესახებ: სამუშაოს მოცულობა, სამუშაოს ტიპი, სამუშაო გარემო, ფუნქცია-მოვალეობები, დასაქმების შესაძლებლობები, სამუშაოს დადებითი მხარეები და სირთულეები, ანაზღაურება.
პროფესიული ცნობისმოყვარეობა						
გამოირჩევა სამიზნე პროფესიასთან შესაბამისი საგნებისადმი/საკითხებისადმი ინტერესით, იჩენს ინიციატივას; იცის როგორ უნდა მოიძიოს ინფორმაცია მისთვის საინტერესო პროფესიული საკითხების შესახებ;	4	3	2	1	0	პროფესიასთან დაკავშირებული საგნების მიმართ განსაკუთრებული ინტერესით არ გამოირჩევა. არ აქვს გაცნობიერებული მისთვის საინტერესო ინფორმაციის მოძიების საჭიროება.
მსგავსი სამუშაოების შესრულების გამოცდილება						
აპლიკანტს აქვს პროფესიისთვის დამახასიათებელი სამუშაოების შესრულების გამოცდილება (ფორმალურად ან არაფორმალურად). მან იცის, რომელი ძირითადი სამუშაო იარაღები/ტექნიკა/აღჭურვილობა გამოიყენება პროფესიაში და აქვს მათი გამოყენების მინიმალური გამოცდილება მაინც.	4	3	2	1	0	კანდიდატს არ შეუსრულებია პროფესიისთვის დამახასიათებელი სამუშაოები, არ ფლობს ინფორმაციას ამ სამუშაოებისა და ძირითადი იარაღების/ტექნიკის/ აღჭურვილობის შესახებ, რომელიც გამოიყენება პროფესიაში.
პროფესიის მნიშვნელობის გააზრება						
კანდიდატს კარგად აქვს გააზრებული პროფესიის ძირითადი ღირებულება/დანიშნულება როგორც ლოკალურ (თემის/სოფლის/ქალაქის), ასევე ეროვნულ (ქვეყნის/საზოგადოების) კონტექსტში. აცნობიერებს საკუთარ წვლილს პროფესიის განვითარებაში. აპლიკანტის პასუხები მეტყველებს მის გააზრებულ არჩევანზე.	4	3	2	1	0	კანდიდატს არ აქვს გააზრებული პროფესიის ძირითადი ღირებულება/დანიშნულება და თავისი როლი ამ პროფესიაში; არ აქვს გააზრებული საკუთარი წვლილი პროფესიის განვითარებაში; მისი პასუხები მეტყველებს იმაზე, რომ კოლეჯში ჩაბარების გადაწყვეტილება არ აქვს გააზრებული.
პროგრამაზე სწავლის მზაობა						
კანდიდატს კარგად აქვს გაცნობიერებული კოლეჯში სწავლის გადაწყვეტილება; **ფლობს ინფორმაციას პროგრამის ძირითადი სპეციფიკის (დატვირთვა, სწავლების ხანგრძლივობა) შესახებ.** მეტ-ნაკლებად სრულად ფლობს ინფორმაციას პროგრამაზე	4	3	2	1	0	კანდიდატს არ აქვს გააზრებული კოლეჯში სწავლის გადაწყვეტილება; **არ ფლობს ინფორმაციას პროგრამის ძირითადი სპეციფიკის (დატვირთვა, სწავლების ხანგრძლივობა) შესახებ.** არ ფლობს ან არასწორ ინფორმაციას

შესასწავლი საგნების შესახებ. ინფორმაცია რელევანტურ წყაროებზე დაყრდნობით აქვს მოძიებული. პროგრამაზე ჩაბარების ძირითადი მოტივი სამიზნე პროფესიისადმი ინტერესია. მას კარგად აქვს გააზრებული სამომავლო გეგმები. შეგვიძლია ვთქვათ, რომ კანდიდატს პროგრამაზე სწავლის მზაობა აქვს.						ფლობს პროგრამაზე შესასწავლი საგნების შესახებ. ინფორმაცია ან საერთოდ არ მოუძიებია, ან არარელევანტურ, ნაკლებად სანდო წყაროებზე დაყრდნობით აქვს მოძიებული. არ იკვეთება ინტერესი შერჩეული პროფესიული პროგრამის მიმართ. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კანდიდატი ნაკლებად არის მზად აღნიშნულ პროგრამაზე სწავლისთვის.
კარიერული განვითარების გეგმები						
აპლიკანტი დაინტერესებულია პროფესიის შესწავლით. გაცნობიერებული აქვს თუ რატომ სურს ამ პროფესიის დაუფლება, როგორ და რაში გამოიყენებს არა მარტო პროფესიას, არამედ მასთან დაკავშირებულ ცოდნასა თუ უნარ-ჩვევებს; ჩამოყალიბებული აქვს კონკრეტული მოლოდინი პროფესიის მიმართ და მკაფიოდ აქვს გაცნობიერებული საკუთარი ადგილი და როლი პროფესიაში.	4	3	2	1	0	აპლიკანტი არ ავლენს ინტერესს პროფესიისადმი; არ აქვს მკაფიო მოლოდინი პროფესიის მიმართ; არ აქვს გაცნობიერებული პროფესიასთან დაკავშირებული დადებითი მხარეები ან სირთულეები; არ აქვს პროფესიასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმები და ვერ აანალიზებს საკუთარ ადგილსა და როლს ამ პროფესიაში.

კომისიის წევრი: _____

სახელი, გვარი, ხელმოწერა